# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


ქართული თეატრი

შაბათს, 18 იანვარს,

ქართულ თეატრის არტისტები

ბბ-ნი ყიფიანი და აბაშიძე

გაჰმართავენ

## სალიტერატურო და სამუსიკო საღამოს

ხუთ განყოფილებად,

რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ქ.ქ. ძნელაძისა, სლაბადკინა; ბბ-ნი ფორკატი, ბიაზი, კრამსკოი-სელსკი, პეტროსიანი, ქორიძე, ცხომელიძე, გაბაშვილი, ქართული ხორო რატილისა და თავად ციციშვილთა გუნდი.

I

წარმოდგენილი იქნება

## ბნელ ოთახში

ვოდევილი 1 მოქმედებად

მოთამაშენი ქ. არლანი და ბ-ნი აბაშიძე

II

რუსულს ენაზე

## ქორწინების წინა დღეს

ოპერეტი 1 მოქმედ. მუსიკა ჟონასისა

მოთამაშენი: ქ. სლაბადკინა და ბ. ბიაზი

III

## სამი ცხოველი სურათი

(ქართველთა ცხოვრებისა)

IV

## დიდი დივერტისმენტი

1) ქართული ხორო ბ-ნ რატილის ლოტბარობით— ჯ სრულებს სიმღერებს
2) ბატონი ფორკატი—წაიკითხავს იგავს „Слона по улицѣ водили“
3) ქ. ძნელაძისა—აასრულებს არიას ოპერიდამ „რუსლან და ლიუდმილა“
4) ბ-ნი კრამსკოი-სელსკი—წაიკითხავს ლექსს „კაზიმირ დიდი“
5) ბ-ნი ცხომელიძე—აასრულებს არიას ოპერეტიდამ „ნატვრის თვალი“
6) ბ-ნი ყიფიანი—წაიკითხავს ქართულს ლექსს
7) ბ-ნი აბაშიძე—აასრულებს ახალს კუპლეტებს
8) ბ-ნი პეტროსიანი—წაიკითხავს რუსულს ლექსს
9) ბ-ნი ქორიძე—აასრულებს კავატინას ოპერიდამ „ურიის ქალი“
10) თავად ციციშვილთა გუნდი იგალობებს ქართულს სიმღერებს

V

ბბ-ნი ბიაზი, აბაშიძე, ყიფიანი, ოხოტინი და ადამიძე

წარმოადგენენ ერთ სცენას ოპერეტიდამ

## „ЛЕГКАЯ КАВАЛЕРІЯ“

დასასრულ

## ლ ე კ უ რ ი

მოთამაშენი: ქ. არლანი და ბ-ნი მურადოვი.

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი და ზურნა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია,

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ.

ბილეთების ყიდვა ამ თავითვე კასაში შეიძლება.

გამგე საღამოსი ვ. ა. აბაშიძე.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის სახლის პატრონები დაფაცურდნენ, როდესაც შეიტყეს ქალაქის საბჭოს 14 ოქტომბრის გარდაწყვეტილება მასზედ, რომ ღარიბ მეპატრონეთ ეპატიოთ ათასი თუმანი ფული დარჩენილის ვალისა, სახსოვრად ოცდა-ხუთის წლის ქორწინებისა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა. შეძლებული თუ შეუძლებელი სჩქარობდა თხოვნა მიერთვა ქალაქის გამგეობისთვის, რომ მათზედ განევრცელებინათ გარდაწყვეტილება საბჭოსი და ეპატიებინათ დაფასების დარჩენილი ვალები. ხსენებულის გარდაწყვეტილების შემდეგ ქალაქის გამგეობა, ამ გვარ თხოვნათა განმხილველი კომისია და მოხელენი ეგრეთ წოდებულის ბიუროსი განხილვაში იყვნენ, რომლის თხოვნა შესაწყნარებელია და რომელი არაო. ამ ბოლოს დროს ხსენებულ თხოვნათა განხილვა დამთავრდა და დადგენილ იქმნა ეპატიოს ათასი თუმანი სამასს მოსახლეს, რომელნიც იქამდე ღარიბნი არიან, რომ არავითარი ღონის ძიება არა აქვთ რაიმე ხარჯი აძლიონ ქალაქის გამგეობას. ზოგს მათგანს არ შეუტანია ხარჯი 1875 წლიდგან, იმიტომ რომ მათი შენობები ან არავითარს შემოსავალს არ იძლეოდა, ან იძლეოდა იმდენად ცოტას, რომ პატრონები თვითონაც სულს ვერ მოიბრუნებდნენ, ზოგის შენობები დაიწვა და უქონლობის გამო ველარ იქმნა განახლებული. ეხლა ქალაქის გამგეობა ამზადებს ამ მოვალეთა სიებს და ჰგზავნის მეპატრონეთა საცნობელად. ამ მოვალეთა შორის არიან ისეთნი, რომელთა ვალი შეადგენს სულ რაღაც 67 კაპეიკს, და სალსარი არა აქვთ ესოდენი მცირე ვალი მოიშორონ თავიდგან, არიან ისეთნიც, რომელთა ვალი აღემატება ორმოცს და სამოცს თუმანს.

*** ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის საბჭო აცხადებს, მესამე კლასის მოწაფე ტ. ხომერიკი გარდაიცვალა და ერთი სტიპენდია განთავისუფლდა გურიის სამღვდელოების ქალებისათვისაო. ვისაც ჰსურს თავისი შვილი მიაღებინოს ამ სტიპენდიაზე, უნდა შესაფერი თხოვნა, წლოვანობის მოწმობა ყმაწვილისა და აგრეთვე ყვავილის აცრის მოწმობა წარგზავნოს ხსენებულ სასწავლებლის საბჭოს სახელობაზე.

*** დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი წიგნი „წყარო“, ქართულის ენის სახელმძღვანელო მოსამზადებელ კლასებისთვის, შედგენილი არ. ქუთათელაძის მიერ. წიგნში მოთავსებულია მოკლე საკითხავი წერილები და ლექსები (პირველი განყოფილება); აღწერა შინაურ და გარეულ სასარგებლო ფრინველთა და ცხოველთა (მეორე განყოფილება); არაკები, მცენაარეების აღწერა (მესამე განყოფილება); ზღაპრები დ ზოგიერთი ამბავი საქართველოს ისტორიისა. ბოლოს წიგნში ჩართულია უსაჭიროესი ლოცვები და ლექსიკონი განსამარტებლად წიგნში ხმარებულ ზოგიერთ სიტყვათა. ფასი წიგნისა ორი აბაზია.

*** ჩვენ მოგვივიდა ერთი ახალი ქართული წიგნი, რომელსაც პირველს ფურცელზედ ასე აწერია: „სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები. დიმიტრი ბაქრაძე“. ამ პირველს ფურცელზედვე დაბეჭდილია სურათი განსვენებულის ჩვენის ისტორიკოსის დიმიტრისა. ავტორი ამ წიგნისა არა სჩანს, მხოლოდ უკანასკნელს ფურცლის ბოლოს ზის ორი ასო ზ. ჭ., რომელიც ალბად ავტორის სახელისა და გვარის დასაწყისი ასოებია. წიგნში ლაპარაკია დ. ბაქრაძის საისტორიო და საარხეოლოგიო მოღვაწეობის შესახებ, აღნიშნულია განსვენებულის ღვაწლი საისტორიო მეცნიერების წინაშე და მის ხასიათის შესახებაც არის რამდენიმე სიტყვა თქმული. წიგნში სულ 40 გვერდია და ჰღირს ერთი აბაზი.

*** ქალაქის საბჭოს მიერ დანიშნულმა კომისიამ ამ ბოლოს დროს რამდენჯერმე იყიდა საკლავი ძროხა და ცხვარი გამოსაცდელად იმისა, თუ როგორი ფასები უნდა შემოიღოს ხორცზე ამ იანვრის მეორე ნახევარში. ცნობებიდგან აღმოჩნდა, რომ ცხვრისა და ძროხის ფასმა ძლიერ იმატა ამ ბოლო დროს, რადგან მცირედ ერეკებიან საკლავს ტფილისში. სამაგიეროდ, ღორი დიდძალი იკვლის. კომისიამ დაადგინა შესცვალოს ნიხრი ამ გვარად: ძროხისა და ცხვრის ხორცი გაიყიდოს 18 იანვრიდგან გირვანქა რვა კაპეიკად, სუკი—14 კაპეიკად. ღორის ხორცი-კი—7 კაპ.

*** 11 ამ თვისას, საღამოს 8 საათზე, სუფსის სადგურის მახლობლად ცოფიანმა მგელმა დაჰკბინა იქაური მცხოვრებელი, 23 წლის ვაჟკაცი რ. გურგენიძე.. დაკბენილი ტფილისში ჩამოიყვანეს და ამ ჟამად საქალაქო ქსენონში იმყოფება. ექიმები ეჭვობენ ამ საბრალოს მორჩენას, რომელსაც ახალგაზდა ცოლი და ქალ-ვაჟი ჰყავს.

*** გუშინ რკინის გზის სადგურს კასპსა და გრაკალს შუა მიმავალ საქონლის მატარებლის № 32 მემაშინემ, გვარად კაპ—ცკმა, გადმოიხედა ორთქლ-მავალიდამ, უეცრად ხელი მოუცდა, ჩამოვარდა და მატარებელმა მარცხენა ხელის მაჯა მოსწყვიტა. საბრალო მაშინვე ტფილისში წამოიყვანეს სამკურნალოში დასაწვენად.

*** 16 ამ თვისას სადგურს გორშიაც ამ გვარივე სამწუხარო ამბავი მოხდა. მუშები აყუდებდნენ ონკანს, საიდამაც ორთქლ-მავლები იღებენ ხოლმე წყალსა და რომელიც 80 ფუთამდე იქნება სიმძიმით. უეცრად ონკანი გაეშვათ ხელიდგან, წაიქცა, ერთს მუშას, ტომით გერმანელს, მარცხენა ფეხზე დაეცა და სრულიად მოამსხვრია. დაშავებული, პენზის გუბერნიის მცხოვრები პეტრე მიხეილის ძე გერშვილდი სადგურის უფროსმა მაშინვე ტფილისში გამოგზავნა და თან ფერშალიც გამოაყოლა. ეს უბედურება იმიტომ მოხდა, რომ მუშები ცოტანი იყვნენ და ვერ შესძლეს ონკანის აყუდება.

*** ბათუმი: კვირას, 14 ამ თვისას, რკინის თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოსადგენად დანიშნულია ორი პიესა: დრამა „თამარ-ბატონიშვილი“ და ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“. წარმოდგენის შემდეგ ლეკური იქნება.

*** გორი: წუხელ, 15 იანვარს, ათი საათი იქნებოდა ღამისა, როდესაც აქაურს საპატიმროში უცებ ასტყდა რაღაც ალიაქოთი. ყოვლის მხრიდამ მიეშურებოდნენ ხსენებულ საპატიმროსაკენ აქაურ ადმინისტრაციისა და აქაურის ჯარის წარმომადგენელნი. ეს მოძრაობა გამოიწვია ერთის ყარაულის გასროლილმა თოფმა. ამ ყარაულს შეენიშნა, რომ ერთი იმ ავაზაკთაგანი, რომელნიც შარშან ზაფხულს ისე ქურდ-ბაცაცურად ჰხოცავდნენ უბედურსა და უიარაღო გლეხებს, ამტვრევდა ხელის ბორკილებს და გასაქცევად ემზადებოდა, თოფის ხმამ ფეხზე დააყენა, როგორც საპატიმროს ზედამხედველნი, ისე ყარაული ჯარის კაცებიც. საჩქაროზედ შეჰმოხვევოდნენ ავაზაკს გარეშემო და ხელახლად დაედოთ ბორკილები. შემდეგ აღმოეჩინათ ქლიბი და აგრეთვე კედლის ძირას გამოთხრილი ადგილი, რომლიდამაც აპირობდა თურმე გაპარვასა. ამ ორიოდე დღის წინად იმ ავაზაკთათვის ჩაებარებინათ გამამტყუნებელი ფურცელი... შეეტყობინებინათ აგრეთვე, რომ ამ თვის 27 დაიწყება სამხედრო სამართლით თქვენის ავაზაკურის მოქმედების გარჩევაო... შარშანდელი გმირები მიხვედრილან, რომ ჩვენი საქმე ამ ახლო მომავალში ცუდად იქნება და, როგორც ამბობენ, ძალიან შეწუხებულან. სჩანს ამ შეწუხებას მიუყვანია ისინი იმ შემთხვევამდე, რომელიც წუხელ მოხდა.

*** სოფ. სვირი: (ქუთაისის მაზრა) ჩვენის სოფლის სახელს რომ გაიგონებს იმერელი, მაშინვე პირი აუმჟავდება და მოაგონდება სვირული გემრიელი, წითელი და ოქროს ფერი ღვინოები.

წარსულს შემოდგომას ვერ დაემდურება სვირელი, რადგან ღვინის მოსავალი ძლიერ კარგი იყო და სიმინდისა ხომ სულ უკეთესი. ეს სამი წელიწადია, რაც სვირში მილდიუს წამლობა დაუწყეს და ძლიერ კარგი შედეგიც მოჰყვა ამ წამლობას. ვინც უწამლა თავისს ვენახს მილდიუს წინაამდეგ, სწორედ გაახარა თავისი გული კარგის მოსავლით. თუ უწამლავს ვენახში ქცევაზედ 5—6 საპალნე ღვინო მოვიდა, იმ ზომისავე ნაწამლს ვენახში 10—12 საპალნესაც აღემატა მოსავალი და ღვინოც ერთობ კარგის თვისებისა დადგა.

სვირის ზოგიერთს ვენახს ეწვია საშინელი მტერი ვაზისა—ფილოქსერა, რომელსაც ებრძვის საფილოქსერო დასი. თუ ღმერთმა ქმნა და ამ ბრძოლით გარიგდა რამე, სწორედ ეშველება სვირს.

ეხლა ღვინო ფასობს აქ 20—40 მანათამდე. ერთი დიდი უბედურება ჩვენის სოფლისა ის არის, რომ გზები არ გვივარგა. ამის გამო ძლიერ გაძნელებულია ღვინის და სხვა მოსავლის გატანა რკინის გზის სადგურამდე. ორმოცის ფუთის ღვინის გასატნად სადგურამდე ზამთრობით ოთხი-ხუთი უღელი ხარია საჭირო. გზა რომ კარგი იყოს, ერთი უღელიც ადვილად გაიტანდა. უგზობის გამო სოფლის სკოლის შეგირდებსაც ძლი-

ერ აქვთ საქმე გაჭირვებული, რადგან ბევრნი სამისა და ოთხის ვერსის მანძილიდამ დაიარებიან სკოლაში.

*** რუსეთის გაზეთები იწერებიან, რომ დამშეულთა სასარგებლოდ ლოტარია იანვრის დამლევზე ადრე არ მოხდებაო.

*** 16 ამ თვისას პოლიციელმა შეიპყრო სოფ. კესალახის მცხოვრები მანსურ საფარ-ოღლი, რომელსაც ალი ალასკიაროვის სადგურის აივანიდგან 12 მან. ღირებული ხალიჩა მოეპარა და მიჰქონდა.

## კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება

16 იანვარს

გუშინ-წინ, 16 იანვარს, კრება იყო კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა. თავმჯდომარემ აუწყა წევრთ სამწუხარო ამბავი, პროფესორ ერნსტ ბლიუნდეს გარდაცვალებისა საზღვარ გარედ 26 წარსულს დეკემბერს. განსვენებული პროფესორი 1874 წლიდგან კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრად ითვლებოდა. ამიტომ საზოგადოებამ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა თავისს გარდაცვალებულის წევრის ხსენებას. მორიგ საქმეების განხილვის შემდეგ საზოგადოების წიგნთსაცავის გამგეთ არჩეულ იქმნა მკურნალი ალექსეევი, ხოლო რადგანაც ბ-ნმა ალექსეევმა უარი სთქვა, ერთხმად არჩეულ იქმნა მის მიგიერ ბ-ნი ბლინდერი. ამას შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება ბ-ნ ფინკელშტეინისა, რომელიც კრებას არ დასწრებია. მოხსენების ავტორი სთხოვდა საზოგადოებას, ყურადღება მიაქციეთ ქალაქის მილის წყალსაო, რადგანაც, ჯერ ზაფხულში წყალი დაგვაკლდა და მერე შემოდგომაზედ ძლიერ მღვრიე და ტალახიანი მოდიოდაო. მცირეოდენის კამათობის შემდეგ საზოგადოებამ დაასკვნა: რადგანაც ეხლა მილის წყალი წმინდაა, ამიტომ, საზოგადოების ფიქრით, ამ საქმის განხილვა ამ ჟამად უადგილოა, მით უფრო, რომ ქალაქის გამგეობას არავითარის თხოვნით არ მოუმართავს ჩვენთვის ამ საქმის თაობაზეო. შემდეგ მკურნალმა კარპეჩენკომ წაიკითხა თავისი მოხსენება: „рядъ чревосѣченій съ цѣлью опорожненія гнойниковъ въ разныхъ органахъ брюшной полости“. ამ მოხსენების საგანი მხოლოდ მეცნიერ მკურნალთათვის არის საყურადღებო, და ამიტომ იმის შესახებ არას ვამბობთ.

მკურნალმა მამინოვმა წაიკითხა მოხსენება შესახებ ყვავილის აცრისა ტფილისის სკოლებში (ревакцинація въ тифлисскихъ школахъ). ბ-ნი მამინოვი ძლიერ საყურადღებო საგანს შეეხო თავისს მოხსენებაში, სახელდობრ იმ საგანს, თუ რა დროს უნდა ყვავილის აცრა ყმაწვილებს და რამდენის ხნის შემდეგ არის კიდევ საჭირო აცრა მეორედაცაო. ბ-ნმა მამინოვმა მაგალითებით დაამტკიცა, რომ ერთი აცრა საკმაოა მხოლოდ 7—10 წლამდეო. რაც შეეხება იმას, თუ რა ხნისას უნდა აეცრას ყვავილი, მამინოვმა სთქვა, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში, ჰავის მიხედვით, სხვა-და-სხვა წლოვანებაა დაწესებული აცრისათვისაო. გერმანიაში მაგალითად, სასწავლებლებში 10—15 წლამდე უცრიან ყვავილს. რუსეთში ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ ჩვენთვის-კი ეს საქმე ძლიერ საყურადღებო უნდა იყოს, რადგანაც ამიერ-კავკასიაში ყვავილი უფრო მძვინვარებს ხოლმეო. შემდეგ ბ-ნმა მამინოვმა წაიკითხა ანგარიში ტფილისის სკოლებში ყვავილით აცრილის ყმაწვილების რაოდენობისა, რომლიდგანაც სჩანს, რომ თვით ბ-ნს მამინოვს წარსულს 1891 წელს, შემოდგომაზე, ორს სკოლაში გაუსინჯავს 346 ყმაწვილი, ამათში 169-ს ყვავილი აცრილი ჰქონია, დანარჩენ 177 ყმაწვილისთვის მამინოვს აუცრია ყვავილი და ამათში 103-ს გამოსჩენია ე. ი. 58%-ზედ ცოტა მეტს. დანარჩენ 9 ტფილისის სკოლაში შარშან ბ-ნმა ავთანდილოვმა და სხვა მკურნალებმა აუცრეს ყმაწვილებს. ყველა ტფილისის სკოლებში სულ 1161 კაცს აუცრეს ყვავილი და ამათში მარტო 46% გამოაჩნდა. ეს პროცენტი ძლიერ ცოტააო, სთქვა მამინოვმა, რადგანაც მე დაბეჯითებით ვიცი, რომ მკურნალმა მილეემა რუსეთის სკოლებში აუცრა ყვავილი და 80%-ს აჩნდაო. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ყვავილის ჩირქი ჩვენც კარგი გვაქვს და მაშასადამე უცოდნელობის ბრალი უნდა იყოს, რომ ჩვენ მიერ აცრილს ყმაწვილებს ძლიერ ცოტას აჩნდება ყვავილი. ყვავილის აცრას ჩვენი ყმაწვილები ადვილად იტანენ და მხოლოდ სომეხთა სემინარიაში ერთს ყმაწვილს გული წაუვიდა ბ-ნ ავთანდილოვის მიერ ყვავილის აცრის დროსა. დასასრულ ბ-ნმა მამინოვმა სთქვა, რომ ჩემის აზრით ამიერ-კავკასიის სკოლებში ექვსის წლისანებს უნდა აეცრათ ყვავილიო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. სტეფან-წმიდა,** (საქართ. სამხედ. გზა). სოფელს სტეფან-წმინდას გერგეტთან და ხევის დანარჩენს სოფლებთან შედარებით ძლიერ მცირე და მასთან თითქმის სრულიად გამოუსადეგი სახნავ-სათიბი და საძოვარი მიწები უჭირავს, ასე რომ სტეფან-წმინდის მკვიდრთა ერთს მეათედს ნაწილს ვერ შეუძლიან სათიბით და საძოვრით სარგებლობა, რადგანაც სოფ. ყაზბეგიდამ მოკიდებული დარიელის ხიდამდე სულ ერთიავად კლდიანი და დამეწყრებული ქვიანი საჯიხვე ადგილია. ამისთანა სათიბის და საძოვრის უქონელობის გამო 10—12 წლის წინად სტეფან-წმინდელებმა კაცები ამოირჩიეს და მთავრობას თხოვნით მიჰმართეს, რომ ლარსის მთა და ტყე, რომელიც ეხლა თერგის ოლქის სახელმწიფო ქონებათ მმართველობის უწყების ქვეშ იმყოფება, სასარგებლოდ ჩვენ მოგვეცესო. შუამდგომლობამ 4—5 წელიწადი გასტანა და არც იაფად დაუჯდათ სტეფან-წმინდელებს ასეთი თხოვნა-საჩივარი; რის გამოც ხან სახელმწიფო და სასოფლო გადასახადისთვის და ხან ზემოხსენებულის საჩივრების მწარმოებელთ ხარჯისათვის თითქმის ყოველ კვირა ფულის კრეფა იყო სოფელში. თვითონ მკვიდრთა სიტყვით, რა ადგილსაც მთავრობასა სთხოვდნენ, იმოდენა ფულით შეეძლოთ, რომ იმაზე მეტი მიწა კერძო კაცისაგან ყიდვითაც შეეძინათ. მაინც დახარჯულს ფულს სტეფან-წმინდელები ჩალად არ ჩააგდებდნენ, თუ-კი მთავრობას იმათი თხოვნა დაეკმაყოფილებინა და ლარსის ვერანა ადგილით სარგებლობის ნება მიეცათ, მაგრამ სამწუხაროდ, მთავრობისაგან ასეთი განკარგულება მოუვიდათ: „რადგანაც სტეფან-წმინდელების მიერ ნათხოვნი ადგილი მდებარეობს თერგის ოლქის საზღვართა შორის და მთხოვნელები ეკუთვნიან ტფილისის გუბერნიასა, ამისათვის შუამდგომლობა მათი უყურადღებოდ დარჩაო“. სტეფან-წმინდელები მაინც უსაძოვრობით და უსათიბოთი დიდს ნაკლულევანებას ითმენენ, ასე რომ ჯერ სიღარიბის გამო რქიანის საქონლის გაშენება ვერ მოუხერხებიათ და, თუ როგორმე ძროხა ანუ ხარ-ცხენი გაჭირვებით იყოლიეს, ზაფხულში უსაძოვრობის და ზამთარში თივის უქონლობით შენახვა უძნელდებათ.

1888 წელს სტეფან-წმინდელების მახლობლად მოსახლე მაჰმადიანის ქისტების სოფელ გველეთის მკვიდრნი ავაზაკობის გამო, უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, გადასახლებულ იქმნენ ახალციხის მაზრის სხვა-და-სხვა სოფლებში და მათ ნაქონს მიწა-წყალს მაშინვე დაეპატრონა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველო.

რასაკვირველია, სტეფან-წმინდელებმაც, როგორც უადგილობით შევიწროვებულმა ხალხმა, ხელ-ახლად მიჰმართეს მთავრობას თხოვნით, რათა გველეთელების ნაქონი ადგილ-მამული დასთმობოდათ სასარგებლოდ.

თუმცა ამ შუამდგომლობასაც ხარჯი მოჰყვა, რადგანაც ქისტებმა, გვარად ჩერუპაშვილებმა თამარ მეფის ძველი სიგელი წარმოადგინეს და საჩივარიც დაიწყეს ტფილისის ოლქის სასამართლოში, მაგრამ მაინც-კი სტეფან-წმინდელების თხოვნა მთავრობის მიერ შეწყნარებულ იქმნა და ნათხოვნი ადგილი სტეფან-წმინდელებს დროებით სახმარებლად დაეთმოთ.

ამ დათმობილის ადგილიდამ არც იმდენი შემოსავალი აქვს, რაც სოფელს ხარჯი მოემატა; ერთი უბედურობა კიდევ ის არის ამ სოფლის თავსა, რომ არა ჰყავთ, როგორც სხვა ქვეყნებში, წესიერად და სისწორით ხარჯის შემწერნი, რომ მთავრობისაგან შემოწერილი საკომლო ყალანი გაუნაწილდეს მცხოვრებლებს ან ადგილის მეტნაკლებად სარგებლობის დაკვალად, ანუ შემოსავალის და მცხოვრებთ შეძლების მიხედვისამებრ. თორემ დიდი ცოდო-ბრალი ბრუნავს იმ ნაირად ხარჯის რთმევით, როგორც ეხლაა. ზოგს უჭირავს და დაუჩემებია ათჯერ მეტი მიწა, ვიდრე სხვებს; ზოგს გაუშენებია 500—1500-დე სული ცხვარი, სხვასა ჰყავს ცხენები და ურმებით ანუ ვაჭრობით ასჯერ მეტი შემოსავალი აქვს თავისს მეზობლებზედ და უმეტესს ნაწილს-კი ამ სოფლის მკვიდრთ არც მიწა უჭირავს, არც ცხვარი, არც საქონელი და ჯოგი ჰყავს. ამისთანები საკუთარის ჯანით შოულობენ თითო-ოროლა გროშს, მარტო თოხ-ნიჩაბი უჭირავთ და სახელმწიფო გზაზედ დღიურად ანუ თვიურად მუშაობენ, რომ გამოჰკვებონ თავიანთი ცოლ-შვილი. სახელმწიფო და სხვა სასოფლო ხარჯს-კი ყველანი თანასწორად ეწევიან. როგორც ამბობენ, სტეფან-წმინდელებისა და გერგეტელების ხარჯის მომატება უფრო ფოსტის სადგურის ახლოს ცხოვრების გამო მოხდა, ვითომ იმ მოსაზრებით, რომ ფოსტის მიზეზით დიდი შემოსავალი აქვთ ამ სოფლებსაო, მაგრამ სტეფანელ-გერგეტელებს ფოსტის სიახლოვეს ცხოვრებით ის შემოსავალი აქვთ, რომ ამ სოფლის მკვიდრთა ყმაწვილები ზარმაცდებიან, გარყვნას ერიდებიან და ზნე-ხასიათით ფუჭდებიან სხვა-და-სხვა მილეთის ხალხთან მიდენ-მოდენის გამო. ამის გამო აკლდებიან თავიანთ სახლის საქმეს. ამას გარდა, ამ სოფლების სახნავ-სათესი მიწა ჯერ ისე მცირე და უმოსავლო არის და მერე იმასაც აუარებელი მგზავრის და ჯარის ფეხის ნალი და ლანჩა ხვდება და იქელებ-ითელება. თუ

# ფელეტონი

## მთა და მთვარე

მთვარე ამოხდა ფერ-მკრთალი,
ატირდა, ისმის ძახილი:
„ნეტავი კაცი მაჩვენა,
რომ გულში დამცეს მახვილი.
მომწყინდა წყვდიადთან ბრძოლა,
ჩამოვილალე ჯანითა,
მომწყინდა კლდე-ღრეთ ღეტება,
თავ-პირის მტვრევა ღამითა!“
ამ დროს საყელო უტაცა
მთამ მკერდ-ბტყლად მდგომიარემა,
პირ-ქუშმა, ვარმით გაზდილმა
და ვარმის მშობიარემა
და უთხრა ჭირის-უფალმა
სულ მუდამ მგლოვიარემა:
—მთვარევ, ნუ იტყვი მაგასა,
მთვარევ, ნუ ჰკარგავ რჯულსაო,
წესს რადა ჰმტყუნობ თავისას,
ეშმაკს რად აძლევ სულსაო?
ყველა ეგრე ვართ შობილნი
ერთი მეორის მსახურად.
ერთურთს ვშველთ, ერთურთსა ვსწყალობთ
პირ-ნათლად, ჩამოხატულად.
მაშ მე რაღა ვქნა უსხივომ,
უსტარმა, უსინათლომა,
უსმელ-უჭმელმა ტიალმა,
ობოლმა უბინადრომა?!
მე სად წავიდე, სად გავქრე,
ქვეყნით სად ვსძებნო საფარი?!
ვის ჩავაბარო ყვავილნი
და წყარო ჩემდ მონაბარი!
ამის გამგონემ მთვარემა
აღარა სთქვა რა მრუდადა,
უკან დაბრუნვის მსურველი
ცას დაეხურა ქუდადა.
აჰმა შუბლი მაღალი,
მაღლა წამოდგა ცაზედა.
ხშირი აფრქვია სხივები
მჭმუნვარეს ქვეყანაზედა,
აკოცა მთასა მაღალსა,
განათდა ბნელი ჯურღმული,
განათდა მთელის ქვეყნისა
შეწუხებული სულ-გული.

ვაჟა-ფშაველა

## სული და სხეული

(დასასრული, იხ. „ივერია“ № 10)

ყრუ მემუსიკე არა ნაკლებ ახირებული ამბავია, ვიდრე კოჭლი სარდალი, უფეხო მოცეკვავე, ანუ ბრმა აქტიორი, მაგრამ ბეტჰოვენი, ერთი ყველა დროის უუდიდებულეს კომპოზიტორთაგანი, თავის სიცოცხლის უკანასკნელს წლებში სრულიად ყრუ იყო, ცოდნის რა მდიდარი მასალა უნდა ჰქონოდა, რა გასაოცარის სამუსიკო ნიჭის პატრონი უნდა ყოფილიყო ეს კომპოზიტორი, რომ შესძლებოდა, ერთისაც არის ხმის გაუგონებლად, განესაჯა თავისის ყოვლად მიუწდომელ სიმფონიების სახმო ეფექტები. ამასთან შედარებით უფრო ნაკლებ გასაოცებელია ყრუობა ლესაჟისა, რომელმაც შეთხზა ყველა განათლებულ ერის ენაზე გადათარგმნილი რომანები: „კოჭლი ეშმაკი“ და „ჟილ ბლაზი“.

ალექსანდრე ჰუმბოლდტსა, კლოპშტოკს და ბევრს სხვა გამოჩენილს კაცს სიბერის დროს სიყრუე დასჩემდა, მაგრამ ამის მიზეზი მოხუცება იყო და ყრუობას სრულიად არ უმოქმედნია იმათს სალიტერატურო ნაწარმოებზე.

ყურადღების ღირსია, რომ ბევრს გამოჩენილს ადამიანს თვალ-ტანად რამე განსაკუთრებული ნიშანი მჩნევია და ზოგჯერ გასაშტერებელი მახინჯიც ყოფილა. სახელ-განთქმულს რომაელს მოლექსეს ოვიდის ისეთი საკვირველად გრძელი ცხვირი ჰქონდა, რომ მეტ-სახელად ცხვირა დაარქვეს (Ovidius Naso). რომაელსავე ისტორიკოსს ტიტე ლივის და ბერძენთ ბრძენს სოლონსაც სახის ეს ნაწილი ძალიან მოზდილი ჰქონდათ. ასეთივე სამკვიდრო უანდერძა შთამომავლობით ავსტრიის საიმპერატორო გვარეულობას იმისმა წინაპარმა რუდოლფ გაბსბურგელმა. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავის ცხვირის პატრონი ყოფილა საფრანგეთის მწერალი ბერჟერა. ის ჯერ სამეფო გვარდიაში მსახურობდა აფიცრად, მაგრამ უნდა მიეტოვებინა სამსახური, რადგან იმისი ცხვირი სიცილად არა ჰყოფნიდა ამხანაგებს. საწყალს ცხვირის გამოისობით ათასზე მეტი დუელი ჰქონია და ხმალში გამოსასვლელად მარადის მზად ყოფნამ შესძინა მეტ-სახელად „le démon de la bravoure“ (გულადობის ალქაჯი). როცა შემდეგში ბერჟერამ სამწერლო კალამს ანაცვალა აფიცრობა, იმის უწინდელი შეუპოვრობა მაინც კიდევ ხშირად იჩენდა თავს: ის არა თუ თავის ვეება საყნოსვო ასოს თაობაზე გადაკვრით წამოსროლილ სიტყვისთვის იძიებდა სისხლით შურს, არამედ თავის ნაწერების გმირებადაც უმთავრესად გულადსა და შეუპოვარ თავხედებს ირჩევდა ხოლმე.

შილლერის ცხვირიც გვარიანი მოზდილი გახლდათ. ფილოსოფოსი მოსე მენდელსონი და კომპოზიტორი მენდელსონ-ბარტოლდი, როგორც ებრაელთა მოდგმის უმრავლესობა, უხვად იყვნენ ამ მხრით მიმადლებულნი. სახელოვანს ქალებში განსაკუთრებით დიდი ცხვირი ჰქონდათ ინგლისისის მეფე ელისაბედს, მარკიზა პამპადურს, მეფე მარია-ტერეზიასა და ეკატერინე მეორეს. სახელ-განთქმული ბერძენი ბრძენი სოკრატი-კი და დემოსთენი პაჭუა-ცხვირიანები იყვნენ, რომელთაგან მეორე ყოვლად დიდებული მჭევრ-მეტყველი იყო ძველს საბერძნეთში, თუმც ენა ბლუ ჰქონდა.

ყველას მოეხსენება, რომ საფრანგეთის ფილოსოფოსი და ენა-მახვილაკი მწერალი ვოლტერი ერთობ უშ-

რამ შემოსავალი არის ფოსტის სადგურისაგან, ამ სოფლების მკვიდრს ვინ დაანებებს, ჯერ სარგებლობენ ბუფეტის პატრონები და მერე აქვე მოვაჭრე მიკიტნები, რომელთაგან არც ერთი აქაველი არაა და სულ სხვა ქვეყნებიდამ მოსულები არიან. იქნება ვისმე ეგონოს, რომ სხვა ქვეყნით მოსულს ვაჭრებს სოფელი ვაჭრობისათვის რასმე ართმევსო. არც ეს იქნება მართალი. ვაჭრებისაგან სოფელს ზარალის მეტი არა აქვს-რა.

ა. კობაიძე

## წერილი ქუთაისიდამ

იმ გარემოებამ, რომ წარსულის წლის ოქტომბერში მართებლობის განკარგულების ძალით აღკრძალულ იქმნა სიმინდის გატანა სამზღვარ გარედ, მეტის-მეტად დასცა და დააქვეითა ნივთიერი მდგომარეობა მთელის გუბერნიისა, ამის გამო აქაურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობამ ამ თთვის 12-ს ბ-ნს ფინანსთა მინისტრს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც საკმაოდ ცხადად არის დასურათებული ჩვენი გასაჭირი. აი ეს დეპეშაც:

ჩვენს გუბერნიაში უკვლაზე უფრო უხვი მოსავალი სიმინდმა იცის და ის იზიდება სამზღვარ გარედ გასასყიდად. ამით აღებული ფული თავი და თავი სახსარია არა მარტო კეთილდღეობისა, არამედ არსებობისაც ქუთაისის ვაჭრობისა. შარშანდელმა კარგმა მოსავალმა სიმინდისამ ექვს მილიონ მანათის აღების იმედი მისცა მკვიდრთა. ვაჭარნიც სამართლიანად იმედოვნებდნენ, ვაჭრობა განცხოველდებაო, რომელიც დაქვეითებულია ხანგრძლივის კრიზისის გამო. ამ იმედით საქონელიც იმ სათავსურისა გამოიწერეს, რასაც კარგის ვაჭრობისაგან მოელოდნენ. სიმინდის სამზღვარ გარედ გატანის აღკრძალვით გამოწვეულმა უფულობამ სრულიად შეაფერხა ვაჭრობა და დიდს გაჭირვებაში ჩააგდო, როგორც ვაჭარნი, ისე საზოგადოდ ბანკიდამ სესხის გამტანნიცა, რადგანაც არსაიდგან აღარა თხოულობენ ჩვენებურს სიმინდს, იმიტომ რომ მყიდველნი ჩვენის სიმინდისა ყოველთვის მხოლოდ სამზღვარ გარედ წამღებნი არიან. წევრნი ჩვენის საკრედიტო საზოგადოებისა, განსაკუთრებით ვაჭრები და მრეწველნი, დიდს ზარალში ცვივიან, ხოლო სიმინდი, დიდის მოსავლისა გამო, დროებით უვარგისს შენობებში ინახება და შეიძლება მალე სრულიად წახდეს, რადგან ჩვენში დიდი სინესტე იცის. ამ გაჭირვებულს მდგომარეობის გამო გამგეობა ჩვენის საზოგადოებისა უმოკრძალესად სთხოვს თქვენს მაღალ-აღმატებულებას, აღმოუჩინოთ ჩვენს ვაჭრობასა და მრეწველობას მეტად საჭირო და საჩქარო შემწეობა მით, რომ ნება დართოთ სამზღვარ გარედ გაიყიდოს ჩვენი სიმინდი, რომელსაც დღეს რუსეთიდგან არავინა თხოულობს.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ამ დეპეშის გაგზავნა ფრიად საჭირო იყო, რათა მთავრობას შეეტყო ჩვენი მდგომარეობა. მხოლოდ ის უნდა შევნიშნოთ, რომ მეტი არ იქნებოდა ასევე მოქცეულიყო ჩვენის სააღგილმამულო ბანკის გამგეობა, მით უფრო, რომ ბანკის მსესხებელნიც დიდს განსაცდელში არიან ჩაცვივნულნი; ამათგან უფროსერთს არავითარი საშუალება არა აქვს დანიშნულს დროზე გადასახადი მიაწოდოს ბანკს და, თუ მიაწოდა, ან მამული ან და წარსულის წლის მოსავალი ნახევარ ფასად უნდა დაუთმოს ჩარჩებს, რომლებიც მზად არიან სულ მუქთად ჩაიგდონ ხელში ხალხის ავლა-დიდება.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამას წინად დეპეშამ მოიტანა ამბავი, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში შეტანილია პროექტი ამხანაგობათა შესახების კანონ-დებულობის ცვლილებისაო. საქმე იმაშია, რომ ინგლისსაცა და შეერთებულს შტატებშიაც ადვილად შეიძლება სხვა-და-სხვა ამხანაგობის შედგენა, რომელსაც აზრადა აქვს საერთო ღონითა და შეძლებით რომელსამე საგნის აღსრულებასა სცდილობდეს, ისეთის საგნისას-კი, რომ კანონის საწინააღმდეგო არ იყოს. ასეთია, მაგალითებრ, სავაჭრო ამხანაგობანი, საურთიერთო დამხმარებელი, საქველ-მოქმედო, სამეცნიერო, სალიტერატურო საზოგადოებანი და სხ. საფრანგეთის კანონ-დებულებით-კი ასეთის საზოგადოებისა და ამხანაგობის შედგენას დიდი დაბრკოლება აქვს, დიდად შევიწროებულია ასეთი საქმე. უეჭველად მთავრობამ უნდა დართოს ნება, თუ იმ საზოგადოებაში ოცს კაცზედ არა ნაკლებია წევრი და საგნადა აქვთ ყოველ დღეს ან დაწესებულს დროს შეიყარნენ ხოლმე და იმუშაონ. ყოველი ამხანაგობა ამ სახელმწიფოში იმ წესებს უნდა დაექვემდებაროს, რომლის შემოღებასაც მთავრობა დაინახავს საჭიროდ. ნება დაურთველად შემდგარსა და ან რომელისამე წესის დამრღვევს საზოგადოებას მთავრობა აუქმებს და იმის ხელთმძღვანელთ აჯარიმებს.

პარიჟის გაზეთების ცნობებით, ახალი პროექტი ამ წესს სრულიადა სცვლის. პროექტით ყველას ნება აქვს თავისუფლად დააარსოს ამხანაგობა, რამდენი წევრიც უნდა ჰყავდეს ამ ამხანაგობას და რა აზრიც უნდა ჰქონდეს; აღკრძალულია მხოლოდ ისეთის ამხანაგობისა და საზოგადოების შედგენა, რომლის აზრი და საგანიც ეწინააღმდეგება კეთილს ზნეობასა, კანონს და საზოგადოებრივს წესსა და რიგს. თუ ვისმე ჰსურს ამხანაგობისა და საზოგადოების შედგენა, ადვილად შეუძლიან, მხოლოდ უბრალოდ უნდა აცნობოს მთავრობას მისის დაარსების ამბავი და ბრალმდებელს შეატყობინოს, რა წესის თანახმად იმოქმედებს ეს ამხანაგობა. ამხანაგობა თუ საზოგადოება რომ სრულიად თავ-მინებრებული არ იყოს, მთავრობის ამისათვის დანიშნულს მოხელეს შეუძლიან თვალყური ადევნოს საზოგადოების მოღვაწეობას და ამათი ანგარიშები განიხილოს. აქედგანვე აშკარადა სჩანს, რომ ახალი პროექტი არსებითადა სცვლის ამ საგნის აწ მომქმედს კანონდებულებას.

**გერმანია.** ეს არის ეხლა დაიბეჭდა და გამოვიდა მეორე ნაწილი მოლტკეს თხზულებათა და წერილებისა. ამ ნაწილში დაბეჭდილია ზოგიერთი უკვე გამოცემული, მაგრამ დავიწყებული ნამუშავარი ფელდ-მარშალისა პოლშისა ჲ აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ და იმის გამო, სხვათა შორის, თუ სტარატეგიის მხრივ რა მნიშვნელობა აქვს რკინის გზებს. დიდად საყურადღებო და საინტერესოა დასასრული წერილისა „გერმანია და პალესტინა“. ეს წერილი განსვენებულის მხნე მეომარ-მებრძოლისა იმდენად საყურადღებოა, მეტადრე იმ მხრივ, რომ მისი დამწერი მოლტკეა, რომ იმისს შინაარსს ვაცნობებთ მკითხველებს, მით უფრო, რომ პირველად იგი 1841 წელს დაიბეჭდა გაზ. „Allqemeine Zeitunq“-ში.

„დაუფარავად ვაღიარებო, სწერს მოლტკე! მე იმ ესოდენ სასაცილოდ აგდებულის აზრის მომხრე ვარ, რომ მთელს ევროპაში მშვიდობიანობა დაურღვეველი და ხელ-შეუხებელი იყოს. ეს აზრი მე ისე-კი არ მესმის, ვითომ დღევანდლიდგანვე შეუძლებელი იყოს ომი და ბრძოლა, ეხლავე დავითხოვოთ ჩვენი ჯარები და ზარბაზნები დავადნოთ და რელსები ჩამოვასხათ, მაგრამ განა თვით მსოფლიო ისტორიის მსვლელობა იმისაკენ არ მიიმართება, რომ ოდესმე საერთო მშვიდობიანობის აზრი განახორციელოს? განა ჯერ ამ ჟამადვე შესაძლებელია, რომ ჰოლანდიამ, ნეაპოლმა და პორთუგალიამ თავისის კერძო ინტერესების გამო ევროპის საერთო ბრძოლა-შეხეთქება გამოიწვიონ? არა, არ შეუძლიან, ამისი შეძლება მხოლოდ ორიოდე დიდს სახელმწიფოს-ღა აქვს. ომი და ბრძოლა მით უფრო იშვიათი ხდება ეხლა, რაც უფრო ბევრი მსხვერპლი სჭირდება ომ-ბრძოლას, რაც უფრო ბევრი ფული ჯდება. ოც-და-ხუთის წლის მშვიდობიანობის განმავლობაში პრუსიამ ქვეყნის ბრძნულის მმართვა-გამგეობით მკვიდრთა რიცხვი—11 მილიონი 15 მილიონად აქცია და ეს 15 მილიონიც უკეთა სჭამს, იცვამს და უკეთ არის განათლებული, ვიდრე უწინდელი 11 მილიონი იყო. განა ასეთი სიკეთე ომში გამარჯვებადა და პროვინციის დაპყრობად არა ჰღირს? რასაკვირველია, ჰღირს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ეს სიკეთე სხვის უბედურებით არ არის მოპოვებული. მერე ევროპის რომელს ქვეყანას დამისახელებთ, რომ ასეთს სიკეთეში არ იყოს, უბრძოლოდ, უომრად? როგორ არ უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ შეიძლება უფრო უკეთ მოგვეხმარებინა ის მილიონები, რომელსაც ეხლა ევროპა ჯარისათვის ჰხარჯავს, და მილიონი ყმაწვილ-კაცობა, რომელიც საუკეთესო წლოვანებაში სცდება ქვეყნისთვის სასარგებლო შრომასა და მუშაობას და ჯარის-კაცად მიდის? ნუ თუ ევროპა, სულ ერთია, ათის წლის შემდეგ იქნება, თუ ასის წლის შემდეგ, არ განახორციელებს აზრს იარაღის აყრა-ახსნისას და, ეხლა თუ საფრანგეთში მზად არიან ტანისამოსი გაჰყიდონ, ოღონდ-კი მუზარადი შეიძინონ, პირ-იქით, იმას არ ეცდება, რომ მუზარადი გაჰყიდოს და ტანისამოსი მოიპოვოს, მშვიდობიანად, სისხლის დაუღვრელად საცხოვრებლად.

## წერილი რედაქციის მიმართ

განსვენებულ ისტორიკოსის დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ გორში შეგროვილ იქმნა 41 მან. და 40 კაპ. ამ ფულის ამბავი თქვენს გაზეთში უკვე იყო მოხსენებული ამას წინად. ახლა გაახლებთ შემომწირველთა სიასაც. აი ეს სია:

ნ. ლ. 3 მ., სვიმონ გოგლიჩიძე 1 მ., ვანო კაპანაძე 1 მ., ერეკლე რამიშვილი 3 მ., სანდრო ქვლივიძე 1 მან., ს. მგალობლიშვილი 1 მ., ლოლაძე 1 მ., ივანე ზაქ. ძე ტერ-სტეფანოვი 4 მ., ივანე დავითის ძე სულხანიშვილი 4 მ., ტერ-სტეფან ტერ-სტეფანოვი 2 მ., მღვდელი ლაზარე ტურიევი 2 მ., კოტე გარაყანიძე 1 მ., ბესარიონ გოგოხია 1 მ., ალექსანდრე ჩიკოიძე 1 მ,, ვანო ქარუმიძე 1 მ., კავთურელი 20 კ., გიორგი ზაალის ძე ყიფიანი 1 მ,, გვარამაძე 1 მ., მ. კ—1 მ., თავ. ავალიშვილი 1 მ., მიხეილ თავდგირიძე 1 მ. სავანელი 20 კ., არსენ ივ. კალანდაძე 1 მ., გიორგი ბარისოვი 1 მ., პლატონ დავითის ძე ბაბილონი 50 კ., ილია გიორგის ძე ხერხეულიძე 50 კ., ივანე ინდოევი 50 კ., ი. გ. დანელია 50 კ., ალექსანდრე დავითიშვილი 2 მ., მასწავლებელი არშაკ არშაკუნოვი 50 კ., დეკანოზი ბესარიონ თავდგირიძე 1 მ., ბლაღოჩინი გორის სობორის მღვდელი იოილ გამრეკელი 1 მ., ბლაღოჩინი მღვდელი სოლომონ კანდელაკი 50 კ., სულ 41 მ. 40 კ.

---

ნო რამ იყო სიბერის ხანს. ერთხელ ვოლტერი და პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდებული, რომელმაც ის თავისს კარზე საცხოვრებლად მიიწვია, ერთად მოგზაურობდნენ. მეფე პირველს ეტლში ბძანდებოდა, ვოლტერი მეორეში. როცა ერთს მოსაღზვრე სოფელში შეჩერდნენ ცხენების გამოსაცვლელად, ერთმა პაჟმა, ანუ მეფის ახალგაზდა მხლებელმა, ადრე გაამაყებულ ფრანგისაგან მეტად განაწყენებულმა, ისარგებლა ახლა მარჯვე შემთხვევით სამაგიეროს გადასახდელად და დაჰყარა ხმები იქვე შეგროვებულს გლეხებსა და სოფლის ბიჭებში, რომ მეორე ეტლში სეფე მაიმუნი ზისო. გლეხები იმ წამსვე შემოესივნენ გარშემო ეტლს და იწყეს ყოვლის ღონისძიებით შიგ მჯდომის ჯავრება და ბრძაზება. ბევრი იყვირა, ბევრი ილანძღა ვოლტერმა, ბევრი ეცადა, რომ გაერეკა როგორმე მოსეული და აბეზარი ხალხი, მაგრამ,—თქვენც არ მომიკვდეთ,—ვერაფერმა უშველა: გაურკვეველი ხმები, რომელსაც დუდღუნობდა გაგულისებული და გერმანულს ენაზე ინჩისაც უცოდინარი მეცნიერი, კიდევ უფრო არწმუნებდა ხალხს, რომ მართლაც მაიმუნი ყოფილაო. ბოლოს, როგორც იყო, ერთმა მეფის მხლებელმა იხსნა გაწვალებული ფილოსოფოსი ამ შეუშურველის ყოფისაგან. ვოლტერმა შეიტყო, რომ ეს პაჟის უკეთური ოინი იყოვო და მწარედ შესჩივლა მეფეს თავისი აბუჩად აგდება.

— რა ვუყო, როგორ დავსაჯოო? ჰკითხა ფრიდრიხმა.

— თქვენო დიდებავ, ჯანაბას დაჰკარგეთ მაგის თავი და ტანიო! წამოიძახა შეურაცხებულმა სწავლულმა. მეფემ, რომელიც ამ პატარა სასაცილო ამბავმა დიდად გაართო, მსწრაფლ აუსრულა თავისს საყვარელს პოეტს სურვილი და განაწესა პაჟი ლეიტენანტად შავ ჰუსართა რაზმში.

საფრანგეთის რევოლიუციის გმირთა-გმირი მირაბო შესანიშნავი იყო არა მარტო ახოვანის ტანადობითა და გულ-წამტაცის მჭევრ-მეტყველობით, არამედ გულ-შესაზარის თვალადობითაც, მაგრამ ამ გარემოებას სულაც არ შეუშლია იმისთვის ხელი, რომ ქალების სატრფიალო და სათაყვანო საგანი ყოფილიყო, რადგან იმისი ჰკუა, მშვენიერი მიხვრა-მოხვრა და ტკბილი, ალერსიანი თავაზი უხვად უსრულებდა სილამაზის დანაკლისს

არც ტან-მორჩილობას დაუბრკოლებია ზოგი,—მეხუთე საუკუნის ჰუნთა მძვინვარე, „ღვთის რისხვა“ მეფე ატტილადამ მოკიდებული, — რომ ისტორიაში თვალ-საჩინო ადგილი დაეჭირა. ჰკუითა და მხნეობით ძლიერს ფრანგთა მეფეს პიპინს, მშობელს კარლე დიდისას, მეტ-სახელად „მოკლე“ ეწოდებოდა. ნაპოლეონ პირველს ჯარის კაცები „პატარა კაპრალს“ ეძახოდნენ. ვასკო-დე-გამა, სახელოვანი პორტუგალიელი ზღვათ-მოგზაური, და დიდება-მოსილი პრინცი ევგენი, „კეთილშობილი რაინდი“, ტანად მცირენი იყვნენ, სულით-კი დიდნი, ისევე სწორედ, როგორც თავისის მეცნიერებით განთქმული დომინიკელი ბერი ალბერტ დიდი (Albertus Magnns), რომელიც გრძნეულად მიაჩნდათ იმ ბნელს საუკუნეში, როცა ის სცხოვრობდა. ალბერტ ტანით ისე პატარა იყო, რომ პაპმა გრიგოლ IX, როცა ის ერთხელ სხვა ბერებთან ერთად ეახლა და გამოეცხადა ვატიკანის სასახლეში, რამდენჯერმე უბძანა, წამოდეგიო, რადგან ეგონა, ალბად მეტის სითავმდაბლით მოსდის და დაჩოქილი რჩებაო.

ზოგჯერ სენსაც-კი ვერ ძალუძს, რომ შეაფერხოს ძლიერის გონების აზრთა აღფრთოვანება. ჰენრიხ გეინე, მძიმე ავადმყოფი, ცხრა წელიწადს „ლეიბთა სარეცელზე“ მიკრულიც რომ იყო, მაინც განაგრძობდა თავის საუკეთესო ლექსთა წერას, თუმცა, მართალია, ხანდახან უწმაწური, გესლით შეზავებული ნაწარმოებიც ამოსკდებოდა გამწარებულ გულიდამ. შილლერი, როგორც მოგეხსენებათ, დიდხანს იტანჯებოდა სენით, რომელმაც მოუღო კიდეც ბოლო, მაგრამ იმისს ნიჭზე-კი ვერ იქონია შესამჩნევი გავლენა. ღვთისნიერმა გელლერტმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები მძიმე ავადმყოფობაში გაატარა, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია იმისთვის ხელი, რომ სწორედ მაშინ ეწერება თავისი მეტად აღმაფრინავი, მეტად ღვთის მსასოები საგალობლები. კარლე ვებერი, რომელმაც ამდენი საუცხოო ხმა შესძლვნა ქვეყანას, როცა ფორტეპიანოს ანუ საწერ-კალამს მიუჯდებოდა, ივიწყებდა ხოლმე მაშინ სიცოცხლის ნელნელა მღრღნელის ლექისაგან მიყენებულს საშინელს ტანჯვას. ძნელი ჩამოსათვლელია ყველა ის შემთხვევა, როცა სულის სიმტკიცეს და ნების ძალას უჯობნია უძლურის სხეულისათვის. არც იმის მაგალითი გახლავსთ იშვიათი, რომ სული დავრდომილიყოს სხეულის ტკივილთა აუტანელ სიმძიმეს ქვეშე. ლენაუმ და გელდერლინმა დაჰკარგეს გონება, ლუიზა ბრახმანმა და ჰენრიხ კლეისტმა თავის მოკვლით დაასრულეს სიცოცხლე, ველარ გაუძლეს ბედის დევნას და იძლივნენ ცხოვრების ბრძოლაში...

ჩვენდა ბედად ასეთი შემთხვევა იშვიათი ამბავია. უმეტეს წილად-კი ნიჭი კაცთა მოქმედების ყველა დარგში იგნებს თავისთვის გზას და სძლევს ყველა დაბრკოლებას, რომელსაც-კი ახვედრებს წინ უკუღმართი ბედი.

გრ. ვოლსკიჲ

## დეპეშა

16 იანვარი

**პეტერბურგი.** გუშინ გვამი დიდის მთავარის კონსტანტინე ნიკოლოზის ძისა კუბოში ჩაასვენეს და გადაიტანეს პავლეს სასახლის „თეთრს დარბაზში“.

გუშინ, გერმანიის იმპერატორის დაბადების დღეს, ანიჩკოვის სასახლეში უმაღლესს საუზმეზე მიწვეულნი იყვნენ პრუსიის სამხედრო რწმუნებული ვილიომი და პრუსიის ელჩი შვეინიცი. გერმანიის ელჩს დარბაზობა ჰქონდა; ეწვივნენ მინისტრნი, დიპლომატნი, წარმომადგენელნი ადმინისტრაციისა და მაღალის საზოგადოებისა.

კოსტრომის გუბერნატორი კალაჩოვი დაინიშნა მიწად-მოქმედებისა და სასოფლო-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორად სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში.

„Гражданинъ“-ი იუწყება, მინისტრთა კომიტეტმა გარდასწყვიტა, მოიწვიოს წარმომადგენელნი სათანადო უწყებათა და თავმჯდომარეობით გზათა მინისტრის ამხანაგისა ბჭობა გამართოს განსახილველად იმ საგნისა, რომ რკინის გზებზე 8000 ვაგონია შეჩერებულ-დაგვიანებული, და ამავე საგნის შესახებ მოისმინოს მოხსენებაც პოლკოვნიკ ვენდრიხისა.

გაზეთები იუწყებიან, გარდასწყვიტეს, რომ 20 ალაგას გამართონ ელევატორი და ამ საგნისათვის გადადებულია 2 მილიონი მანათი.

**ტანჟერი.** აჯანყებული თემები დაწყნარდნენ.

**ვენა.** საარჩევანო მოძრაობამ ისეთი მღელვარება გამოიწვია, რომ ბევრს ალაგას ჯარი ჩააყენეს.

**ვენეცია.** საერთაშორისო სასანიტრო კონფერენცია გათავდა.

**პეტერბურგი.** დღეს შვეციის მემკვიდრე პრინცმა ისაუზმა ანიჩკოვის სასახლეში და სადილი მიირთვა დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძისას. დიდის მთავარის კონსტანტინე ნიკოლოზის გვამის გადასვენებას პავლოვსკიდგან პეტრე-პავლეს ტაძარში და მისს დასაფლავებას, შაბათს, პრინცი დაესწრება, როგორც წარმომადგენელი შვეციის მეფისა.

**ხარკოვი.** სუმის ოლქის სასამართლომ არ შეიწყნარა ანდერძი ხარიტონენკოსი, რადგანაც ზოგი კანონიერი სავალდებულო წესი ამ საქმისა დარღვეულად სცნა. 40 მილიონის შეძლება გარდაცვალებულისა მის შვილის პავლე ხარიტონენკოს ხელში უნდა გადავიდეს, რომელსაც მხოლოდ ნაწილი ჰქონდა ნაანდერძევი ამ ქონებისა.

17 იანვარი

**პეტერბურგი.** ნება დართულ იქმნა მეორე საქველ-მოქმედო ლოტარეია 6,000,000 მან. ტირაჟი პირველის ლოტარეისა იქნება 1 თებერვალს.

წევრი კონსულტაციისა იუსტიციის სამინისტროში თავადი ობოლენსკი დანიშნულ იქმნა სენატის მეორე დეპარტამენტის ობერ-პროკურორად.

უმაღლესი ნება-რთვა გამოვიდა იმისა, რომ რუსეთმა მონაწილეობა მიიღოს 1893 წლის 1 მაისიდამ 30 ოქტომბრამდე ჩიკაგოს გამოფენაში. რუსეთის განყოფილების გამართვის შესახებ განკარგულებათა მოხდენა მიენდო ცალკე კომისიას სავაჭრო დეპარტამენტის დირექტორის თავსმჯდომარეობით. დღეს გამოცხადდა დებულება რუსეთის განყოფილების შესახებ.

საყოველთაოდ გამოცხადდა, რომ რუმინიის მთავრობამ ბრძანება გასცა რუმინიაში შეშვებულ იქმნენ მხოლოდ ის მოგზაურნი, რომელთაც ექმნებათ რუმინიის საელჩოებისაგან გასინჯული პასპორტები.

„Бирж. Вѣд.“-ი ამბობს, რომ გუშინ იყო პირველი კრება გზათა-მინისტრის ამხანაგის თავსმჯდომარეობით კომისიისა პოლკოვნიკის ვენდრიხის მოხსენების განსახილველად და იმ ღონის-ძიებათა განსაბჭობლად, რომელიც უნდა იქმნას მიღებული, რათა, რაც შეიძლება, ჩქარა განთავისუფლდეს კოზლოვო-ვორონეჟ-როსტოვისა და კურსკ-ხარკოვ-აზოვის რკინის გზები ამ გზებზე დარჩენილ პურისაგან. კომისიის წევრებად არიან დირექტორები რკ. გზათა დეპარტამენტებისა, ფინანსთა და გზათა სამინისტროებისა ვიტტე და პეტროვი.

**სამარა.** ბუხტის აშენება დაიწყეს. დღიური ფასი მუშისა 20 კაპ. უცხენოდ, ცხენით ვინცა მუშაობს, იმისთვის 80 კაპ.

**ბერლინი.** რეიხსტაგში გამოითქვა ის აზრი, რომ შესაძლოა გერმანიის სახელმწიფოთა საბჭომ რუსეთსაც ნება მისცეს ისარგებლოს სატამოჟნო შეღავათიანის პირობითაო. გარეშე-საქმეთა სტატს სეკრეტარმა სთქვა ამ საგნის შესახებ, რომ საბჭო გამოიყენებს მაგ მისდა მინიჭებულს უფლებას მხოლოდ იმ სახელმწიფოთა შესახებ, რომელნიც გადაწყვეტით მოინდომებენ, რომ გერმანიასთან მუდმივი ურთი-ერთობა და კავშირი იქონიონო.

თავისუფალ მოაზრეთა დასმა რეიხსტაგს ურჩია, რომ მთავრობამ ისეთი კანონი წარმოგვიდგინოს დამნაშავეთა გარდაცემის შესახებ, რომლის ძალითაც გარდაცემა მათი თავთავიანთ სახელმწიფოთათვის განსაკუთრებით იმპერიის კომპენტენციას ექვემდებარებოდესო და არც მოხერხდებოდეს ისე, რომ მაგ საქმეში სასამართლომ მონაწილეობა არ მიიღოსო; რომ ამას გარდა კიდევ გაუქმებულ იქმნას ყველა ამ საგნის თაობაზე დღეს არსებული ხელ-შეკრულებანიო.

**პარიჟი.** რიბომ აუწყა მინისტრთა საბჭოს, რომ ვაჭრობის შესახებ ისპანიის გარდა ყველა სახელმწიფოსთან მოვრიგდითო.

**დრეზდენი.** დედოფალი ინფლუენციით გახდა ავად.

### პეტერბურგის ბირჟა, 14 იანვარი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 16 | 8, 19 | — ,, |
| ჟამოყნის კუპონები . | 162 3/4 | 163 3/4 | — ,, |
| ანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, 17 | 1, 19 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 234 1/2 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | 200 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . . , . | — ,, | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6°/₀. . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . , . . . . | — ,, | — ,, | 98 3/4 |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | 102 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუა დღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

## განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**კრილოვის არაკები**

ნათარგმნი თ. აკაკი წერეთლის მიერ

ფასი 30 კაპ.

ვინც ოცდათს ცალს ან მეტს იყიდის ერთად ნაღდს ფულზე, თითო ცალი 24 კაპეიკად დაეთმობა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

მიიღება ხელის-მოწერა

## „საქართველოს საეკსარხოსო მოამბეზე“

1892 წლის 1 იანვრიდგან.

ეს ჟურნალი არსებობს ტფილისის მართლ-მადიდებელ სასულიერო სემინარიასთან. გამოვა თთვეში ორჯელ, ჯერზედ 2-დგან $2^1/_2$ დაბეჭდილ თაბახამდე. ჟურნალი იბეჭდება რუსულს ენაზედ და ზოგიერთი წერილი ქართულადაც იბეჭდება. პროგრამმა შემდეგია:

ოფიციალური განყოფილება.

უმაღლესნი ბრძანებანი, უწმინდესის სინოდის გარდაწყვეტილებანი და დადგენილებანი და უმაღლესის სასულიერო და ადგილობრივ საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი. დანიშვნა და გადამყვან-გადმოყვანა საქართველოს საეკსარხოსოს სასულიერო პირთა და საზოგადოდ სასულიერო უწყებაში მოსამსახურეთა.

ცნობები „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ **მოღვაწეობის** შესახებ და მისივე ანგარიში.

ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია საეკსარხოსოს სასულიერო სასწავლებლები; წლიური ნუსხა, გამოცდის შემდეგ, სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეებისა და საეპარქიო დედათა სასწავლებლის მოსწავლე-ქალთა.

ანგარიში საეპარქიო სამოსწავლო საბჭოთა და საეკსარხოსოს სასულიერო სასწავლებლის სამეურნეო ნაწილისა.

არა-ოფიციალური განყოფილება.

სიტყვანი, დარიგებანი, ქადაგებანი და ეკკლესიის გარეშე გაპართულნი მოძღვრებანი.

მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა საზოგადოდ და საქართველო ეკკლესიისა განსაკუთრებით წმ. მამათა ცხოვრების აღწერა და სამაგალითო ამბები იმათის ცხოვრებისა.

ბიოგრაფიები და ნეკროლოგები შესანიშნავთა თანამედროვე ეკკლესიის მოღვაწეთა.

წერილები და მოთხრობები, განსაკუთრებით საქართველოს შესახებ, სარწმუნოებრივნი და საისტორიონი.

საქართველოს საეკსარხოსოს საეკკლესიო ცხოვრების მატიანენი და კორესპონდენცები იმის ეპარქიებიდგან.

განმარტება ზოგიერთ ბნელ და ძნელად-ასახსნელ მღვდელ-მოქმედების დროს შეხვედრილთა საგანთა.

პასუხები და განმარტებანი სხვა-და-სხვა საქართველოს საეკსარხოსოს შესახების საჟურნალო წერილებისა.

მარტივად-დაწერილი და უფრო მეტად საჭირო და სასარგებლო ცნობები სახალხო სამკურნალო მეცნიერებისანი.

სხვა-და-სხვა ცნობები და შენიშვნები. განცხადებანი.

წლით ჟურნალი ჰღირს 4 მანეთი, ნახევარ წლით 2 მან. (გასაგზავნს ხარჯს თვით რედაქცია ჰკისრულობს). ხელის მოწერა მიიღება ტფილისის მართლ-მადიდებელს სასულიერო სემინარიაში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 17-го Января 1892 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**